№ 186

ოთხშაბათი, 31 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 186

ოთხშაბათი, 31 აგვისტო 1895

გაზეთი ღირს:

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



## გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები ი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 30 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

ქუთაისს

ი. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში სწავლა დაიწყება 1-ლ ენკენისთვიდგან.

(3—1799—1)

სენაკის სათავად - აზნაურო სკოლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

## კაბინეტი კბილის ექიმთა

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამ ოს 4—7 თაააკუდმსჲ ღ.


პირველ სექტემბრიდგან ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, ყველა წოდების, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. პირველ განყოფილებაში სკოლისა მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ ათის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, ხოლო ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება, სწავლა და წლოვანობა, ე. ი. 13, 14, 15 წლისა და დაიჭიროს ეგზამენი. სასწავლო სკოლის კურს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეოპის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმვისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ სწავლას მიიღებენ და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

რადგანაც ბევრმა დედ-მამამ დღევანდლამდე სადგურის შესანახავი ფული ვადაზედ არ შემოიტანეს, ამ ვითარების გამო წელს, ვისაც-კი ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ: მთელის წლის შესანახი ფული პირველ სექტემბერს 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთ-საცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. თუ ეს ნივთები არ ექმნებათ—ყმაწვილები სადგომში არ მიიღებიან.

უმორჩილესად ვსთხოვ „მოამბის“ რედაქციას, გარდაბეჭდოს ეს განცხადება თავისს უმახლობელესს №ში.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც გვატყობინებენ, გლეხი, რომელიც პაპალოვის ქალის მოტაცების დროს დაიჭრა, აქამომდე სრულიად უპატრონოდ არის და არავის არ მოჰფიქრებია რაიმე შველა აღმოუჩინოს. როგორც მნახველები ამბობენ, შესაძლო ყოფილა დაჭრილის მორჩენა და საკვირველია რისთვის დარჩენილა ეს საბრალო კაცი ასე უპატრონოდ?!

*** ზემო-ქართლიდან გვატყობინებენ, რომ თითქმის მთელი ზაფხულია, რაც იქ საშინლად მძვინვარებს ციებ-ცხელება. ისეთი ოჯახი არ იქნებაო, იწერებიან, რომ ამ სენს არ გამოეჩინოს თავისი თავი. ზოგნი ამბობენ, რომ თვით ხოლერისაც არ გვშინებია ასეო.

მერე სად არიან ჩვენი ექიმები?

— ქალაქებში, ქალაქებში და ქალაქებში!!!..

*** «ჩერ. ვესტნ.“-ს ქუთაისიდან სწერენ, რომ იქ მისულან კაპიტალისტები, რომელთაც სურთ ცხენის რკინის გზის გაკეთება ქუთაისში; ისინი მალე წარუდგენენ გამგეობას თავისს წინადადებას.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ფოთის პოლიცმეისტერი სხვა ადგილას გადაჰყავთ.

*** რიყეზედ, ბეგთაბეგოვის ბაკში ერთს ფშაველს დაეკარგა 480 მანეთი. ფული ეპოვნა მედუქნე კაალაძეს, რომელსაც უნაკლულოდ ჩაუბარებია პატრონისათვის.

*** წელს ქვემო-რაჭაში ახლად დაარსდა ორ-კლასიანი სასწავლებლები: პატარა-ონში, ბუგეულში და ნიკორ-წმინდაში.

*** ქუთაისიდგან გვწერენ: „დიდის მადლობის ღირსია აქაური სემინარიის რექტორი მამა დიმიტრი, რომელმაც წელს მესამე ქართველი მოწაფე აიყვანა თავისს სტიპენდიატათაო.

*** „კასპის“ სიტყვით, კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ კავკავში დაარსებულ იქმნას კადეტთა კორპუსი, რადგანაც კავკასიის ერთი კორპუსი (ტფილისში) ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

*** დიდი ჯიხაიში: 20 აგვისტოს სოფლის ყრილობამ დაადგინა ამიერიდგან აღარ იდღესასწაულონ ქაშვეთობა. მიზეზი ამისა ერთის მხრივ ხარჯის თავიდამ აცილება იყო, მეორეს მხრივ ის, რომ უკანასკნელს დროს დღესასწაულზედ ჯირითი, ბურთაობა, მარულა, სიმღერა და სხვა გასართობნი ხანჯლის ტრიალმა და თავ-პირის მტვრევამ შესცვალა.

რასაკვირველია, თუ დღესასწაულზედ ჩხუბი და უბედურება აუცილებელ გარემოებას შეადგენდა, ამ შემთხვევაში სამართლიანია სოფლის ყრილობის დადგენილება.

მაგრამ დღეს დასავლეთ ევროპაში, ცდილობენ შემოიღონ და გაავრცელონ იმისთანა თამაშობა, რომელიც ჯანს არგებს და სულითაც აძლიერებს კაცს და ჩვენ-კი იმის მაგიერ, რომ შევირჩინოთ ის, რაც უკვე გვაქვს, ვცდილობთ მოვსპოთ და სამუდამოდ დავივიწყოთ.

*** იქიდგანვე: სოფლის ყრილობამ მოისურვა ახლად დაარსებულს სასწავლებელში ასწავლონ: მჭედლობა, ზეინკლობა, საათის კეთება, ამასთან განიზრახეს ითხოვონ მიეცეთ ნება ამ სასწავლებელთან ერთად დააარსონ საგრონომიო და სააბრეშუმო სასწავლებელი, რისთვისაც ამ მოკლე ხანში თხოვნას მიართმევენ სამინისტროს სკოლის ინსპექტორს საჩივარი

თექვსმეტ აგვისტოს აქ სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. ითამაშეს კომედია «რაც გინახავს ვეღარ ნახავ». ხალხი ცოტა დაესწრო. შემოსავალი ორმოც-და-ათი მანეთი იყო, ხარჯი ოც-და-ხუთი.

*** ქ. დუშეთი: აქ ამ ცოტა ხანში ორი წარმოდგენა იყო გამართული ქართულ-რუსული. ერთი წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით აქაურებმა გამართეს, ხოლო მეორე საყმაწვილო—აქ საორ-თვეოდ მოსულმა სკოლის მოწაფეებმა. ქართულად პირველად წარმოადგინეს „ძუნწი“ გ. ერისთავისა, ხოლო მეორედ მოწაფეებმა წარმოადგინეს „ნადირობა“ ვ. გუნიასი. ორმავე წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. „ძუნწში“ ბ-ნმა კ. სვიმონიშვილმა ცოცხლად დაგვიხატა ძვალსა და რბილში ფულის სიყვარულ გამჯდარი კარაპეტას უსაზღვრო თავგანწირულება, როდესაც ის სკივრში ოქროების მაგიერ კენ[illegible] აბაშიძეც ივანიკას როლში და ბ ნი ვლადიმიროვი არჩილის როლში.

საყმაწვილო წარმოდგენის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ საზოგადოდ არა გვაქვს საყმაწვილო პიესები და ვერც ამ ხელად დადგმულის პიესის ამორჩევა ჩაითვლება მოსაწონად, რადგან რაც უნდა იყოს სასურველი არაა, რომ 14—15 წლის ყმაწვილები შეყვარებულ ქალ-ვაჟისა და ან მოღალატე ცოლ-ქმრის როლსა თამაშობდნენ.

*** ზემო-ქართლი: პურის მოსავალი კარგი მოგვივიდა, მაგრამ რა, თუკი გაულეწავი დაგვრჩება და დაგვილპება. ისე დღე არ გავა, რომ ამინდი არ გამოიცვალოს, თუმცა ძალიან დაჟინებული წვიმა არ მოდის.

*** კისლოვოდსკი: აქაურ წყლებზედ წელს უფრო ბევრნი მოვიდნენ, ვიდრე წინა წლებში: უფრო მეტი ხალხი მოვიდოდა, რომ სახლები რიგიანად იყოს მოწყობილი. ამბობენ, ბევრნი არ მოვიდნენ იმიტომ, რომ გაზეთებიდგან ესმოდათ „ნარზანის“ წყლის გაფუჭება, თუმცა ეხლაც სწორეთ არ იციან, მართლა გაფუჭდა ეს წყალი თუ არა.

მომავალს წელს აპირებენ ააშენოს 300 ოთახიანი შენობა მეაგარაკეთათვის. მცხოვრებლებმა განიზრახეს სთხოვონ მთავრობას, რომ კისლოვოდსკი ქალაქად ჩარიცხოს.

## კორესპონდენცია.

—

სოფ. ახალგორი. „ივერიის“ მე 175 №-ში არის კორესპონდენცია ქსნის ხეობიდგან ბ. ა. ერისთავისა რომელშიაც იგი შეხებია, სხვათა შორის, ახალგორის სკოლის საქმესაც, რის გამო, როგორც მასწავლებელი ხსენებულის სკოლისა, მოვალეთა ვრაცხ ჩემს თავს ჭეშმარიტების დასაცველად მოგახსენოთ შემდეგი:

ბ-ნ ა. ერისთავს თუ უნდოდა ჭეშმარიტება ეთქვა თავისის წერილის შემწეობით და რამე სარგებლობა მოეტანა—უნდა დარწმუნებით გაეგო 1) გასავალი სკოლის ფულისა წლიურად, რომელშიაც იგი შემცდარია, როცა ამბობს, რომ წლიური გასავალი სკოლისა 660 მანეთიაო. არა! 660 მ. კი არა 724 მანეთი გახლავთ და დანარჩენი წლიური შემოსავლიდგან 64 მ. და ოთხი აბაზი. ზოგი იხარჯება სკოლისათვის საჭირო ნივთების შესაძენათ და ზოგი მართალია რჩება, მაგრამ ისე ცოტა-კი, რომ მომავალს ოძისის საძრევლო სკოლას ვერას უშველის.

2) უნდა დაჭეშმარიტებით შეეტყო ბ. ერისთავს მე ჩემის აქ ორის წლის ყოფნაში ვზრუნავდი და ვზრუნავ თუ არა სკოლას საკუთარი შენობა ჰქონდეს, და ტყუილ უბრალოდ საყვედურის ღირსი არ გავეხადე?! ყველა ამას ის გაიგებდა, თუ მოინდომებდა ა) სკოლის საქმის [illegible] ლების ინსპექტორთან (პავლოვი), მაგრამ ყველა ეს მიწერ-მოწერა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგანაც სკოლის შენობისათვის ალაგი ვისაც ვსთხოვეთ არ დაგვითმო და მოგეხსენებათ ჰაერში სახლი არ აშენდება.

3) საიდგან გაიგო ბ-მა ა. ერისთავმა, რომ ვითომ ახლანდელს სკოლაში სწავლა დამთავრებულნი „მტკნარი გამოფიტულები“ გამოდიან და გაჭირვების დღეს რაიმე საქმეზედ ხელის მოწერას სხვას ეღრიჯებიან? აქაც არ მოუნდომნია ბ. ერისთავს საქმეს ჩაჰკვირვებოდა, თორემ ცხადათ დაინახავდა, რომ ზოგნი ამ სკოლაში სწავლა დამთავრებულნი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში საუკეთესო მოწაფეებათ ითვლებიან; ზოგს მათგანს თითონაც იცნობს, და ვინც ვერსად წასულა სიღარიბის ანუ სხვა რაიმე გარემოების გამო და ამ სკოლაში მიღებულ სწავლის ანაბარად დარჩენილა, ისინიც ყოჩაღი მოვაჭრენი არიან და არავითარი „მტკნარი გამოფიტულობა“, უვიცობა წერა-კითხვისა და ანგარიშისა მათ არ ეტყობათ.

დასასრულ ყველა ამასთან, რაც მოგახსენეთ, ვსთხოვ უმორჩილესად ბ-ნ ა. ერისთავს გაიხსენოს, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი ზაფხულს ვერ მოიყვანს, აგრეთვე მარტო მასწავლებლის ზრუნვა სკოლას შენობას ვერ აუგებს, და თუ თითონაც, სხვათა შორის, ბ. ა. ერისთავიც ღვაწლს დასდებს ამ კეთილს საქმეს, და გვიშუამდგომლებს ვისმესთან, დაგვითმოს ერთი ნაჭერი ალაგი სკოლისათვის ახალგორს, მაშინ იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია საკუთარი შენობა სკოლას მალე აეგება, და ის 150 მან., რომელიც დღეს სახლის ქირად იხარჯება— ხელში დაგვრჩება და მომავალის ოძისის სამრევლო სკოლის საქმეს წინ წასწევს.

ახალგორის სკოლის მასწავლებელი მ. გიორგაძე.

—

**ქ. პეტროვსკი.** (დაღესტ. ოლქი) ჩვენ გვეწვია ინგლისის მეცნიერი, დოქტორი ფილოსოფიისა, თეოდორე ბედეკერი თავისის თარჯიმანით. ამ პატიოსან მოხუცს თვისის ცხოვრების და მოქმედების საგნად ამოურჩევია საპყრობილეების დავლა და პატიმრების ნუგეშის ცემა, სადაც შემდეგ გრძნობიერის სიტყვისა და დარიგებისა აძლევს ყველა წიგნის კითხვის მცოდნე პატიმარს „ახალს აღთქმას“ და დავითნს იმ ენაზე დაწერილს, რა ენაზედაც ლაპარაკობს ტუსაღი.

ამისთანა წიგნები რიცხვით სამოცი ცალი დაურიგდათ ქართველს ტუსაღებსაც, რომელნიც დიდს მადლობას უხდიან ბ-ნს ბედეკერს.

პეტროვსკის ქართველობაც' ემზადება ჩვენის საყვარელის და მოხუცის მგოსანის რ. ერისთავის იუბილეს სადღესასწაულოდ. აქაური ქართველობა ოცდა-ორ-ოქტომბერს შეიკრიბება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და გადიხდის სამადლობელს პარაკლისს ქართულს ენაზედ.

მღვ. იოანე შანავაძე.

—

**ქ. ართვინი, 22 აგვისტო.** გუშინ ღამ 11 საათზედ ოცდა-ერთს ამ თვეს, სწორედ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თავ. ბარიატინსკის მოსვლის წინა დღეს, ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა: მოჰკლეს ოფიცრების ქუჩა[illegible]ხი დანებით ოცის წლის ყმაწვილი კაცი, მედუქნე მაჰმადიანი ნური ესრილ-ოღლი. ნურიას ჰქონდა პატარა ბაყლის დუქანი პლასტუნების ბატალიონის ჯარის კაცთა შტაბთან. მოკლულს გვარიანი შეძლებაც ჰქონია. როგორც საქმიდგანა სჩანს, ამ შეძლებამ შეიწირა ყმაწვილი კაცი. ნური დილა ადრიანად რომ მოვიდოდა სახლიდგან, 11—12 საათამდის ღამისა დუქანში იჯდა და მერე-კი შუა ღამისას მიდიოდა შინ, მაგრამ სახლში წასვლის ხანს უნდა გაევლო ამ აფიცრების ქუჩით. ამისთანა მკვლელობის გამო დიდად შეწუხებულნი არიან მთელის ბატალიონის აფიცრები, რადგან ყველას მოსამსახურე და სინდისიანი ვაჭარი იყო, იმასთან თითო ორ შაურად უფრო იაფად ჰყიდულობდნენ ყოველგვარს სანოვაგეს. მოკლულის გულიდგან აუჭრიათ ფულის ჯიბე, სადაც ინახავდა თურმე მთელს თავისს შეძლებას. ამ მკვლელობას აბრალებენ ოფიცრების მოსამსახურე ყაზახ-რუსებს, რომელნიც სამი კიდევაც შეიპყრო ადმინისტრაციამ. ამ საქმის გამო დღეს ბათუმიდგან ამოვიდა გამომძიებელი ოჰანეზოვი. აქაურ სოფლებში, სადაც ხალხი ცხოვრობს, ღამით არ არის საშიში სიარული და როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ქალაქში და ჯარის კაცებთან-კი საფრთხილო შეიქმნა გავლა-გამოვლა.

ი. ჯ.

—

**შავშეთი,** (ართვინის ოლქი). შავშეთს აღმოსავლეთ არსიანის და არდაგანის (არტაანი) მთები უძევს, დასავლით კარჩხალის მთა, სამხრეთით არდანუჯის მიდამოები და ჩრდილოეთით აჭარა. ჩვენს ძველებს სამართლიანად უწოდებიათ ამ ადგილებისათვის შავ-მთა. ეს მიყრუებული, მგზავრისაგან მივიწყებული მხარე ყოველთვის შავად არის მობურული, ნამეტურ დილით, რადგანაც ეს ოქროს კუთხე, ეს ძვირფასი მხარე საქართველოსი სულ ნაძვის ხის ტყეებით არის სავსე.

შავშეთი შესდგება შვიდის სამამასახლისოდამ. ოთხი სამამასახლისო შავშეთს ეკუთვნის და სამი სამამასახლისო შავშეთის ნაწილს იმერ-ხევს. შავშეთში ქართული ენა აღარავინ იცის, სამს სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ. აქ ქართულის ენისა აღარავის რა ესმის. იმერ-ხევში კი ყველგან იციან ქართული, ყველგან ქართულად ლაპარაკობენ, აქ არის ისეთი სოფლები, სადაც ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებმა და ქალებმა თათრული ენა სრულებით არ იციან. მხოლოდ ქალის საფიანავას ხეობის ქვემოთ, სოფ. წყალსიმერში კი შეპარულა თათრული ენა და აქაური ქართველების უმეტესი ნაწილი თათრულად ლაპარაკობს.

ზოგიერთს სოფლებში ძალიან ცდილობენ თურმე, რომ ქართული დაივიწყონ. არსიანის მთის საძოვრებზედ მე ვნახე რამდენიმე მწყემსი, იმერ-ხევიდგან მოსული, მამები მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულს და შვილებმა-კი, პატარა მწყემსებმა, ძლივს ამოთქვეს თითო-ოროლა სიტყვა ქართულად. ამათში ყველამ კარგად იცის, რომ ისინი ქართველების შთამომავალნი არიან; ქართულის ენის არა მცოდნე თათრებიც-კი თა[illegible]. ამათ სიტყვა ქართველი ისე არა სძულთ, როგორც აჭარლებს, ქობულეთლებს და მაჭახლელებს.

შავშეთში დღემდის დაშთენილა ორი ნაშთი ჩვენის ძველის დროებისა; ერთი ოპიზის შესანიშნავი ტაძარი, ნათლის-მცემლის მონასტერი და მეორე ტბეთის საკათედრო ეკლესია. ტბეთის ეკლესია მთლადა სდგას, მისი მშვენიერი გუმბათი დიდის დიდებით გადმომზერს შავშეთს, კაცს გული აუტირდება, როცა შავშეთს ნახავს, მისს ისტორიას გაიხსენებს და ამ ეკლესიას. ეკლესია მთლად თლილის ქვით არის აშენებული მეათე საუკუნის დასაწყისს, აშოტ კუხის კურო პალატისაგან.

ეკლესიას 35 ლაჯი სიგძე აქვს და ცოტა ნაკლები სიგანე. ეს ეკკლესია აქამდე ჯამედ ყოფილა. ამ სამის წლის წინად, ოზლად შთენილს ტბეთის ტაძრის გუმბათს მეხი დასცემია და მხოლოდ ერთს ალაგას არშინის სიგრძე ჩაუქცევია. სხვაფრივ ვერაფერი უვნია.

შავშელებს შეშინებიათ, ჯამე მოუშლიათ და სხვაგან გაუკეთებიათ, გასაკეთებლად ტბეთის ეკკლესიის სამრეკლო დაუქცევიათ და მისი მასალა ჯამეს საკეთებლით უხმარიათ. ეკკლესიას საკმარისად ჩამოჰქცევია ჩრდილოეთის მხრის კედელი. გარედან წარწერები აქვს. შიგ აქა-იქ მხატვრობაც შენახულა, ერთს კედლის ქვაზე გამოჭრილია სურათი ამ ეკკლესიის მაშენებლის აშოტ კურატ პალატის წარწერა-კი წაბღალულია.

ეკკლესიას ოთხი თლილი ქვის სვეტი აქვს ატანილი და გუმბათი ამ სვეტებზე დგას. ერთის სვეტის წინ არის საფლავი თვით აშოტ კურატპალატისა, რომელსაც საფლავზედ ერთი დიდი შავი ქვა აძევს, ამ ქვას სიგრძე სიმაღლე ორი არშინი ექმნება. მეტათ შესანიშნავი მძიმე ქვა არის, შავი მარმარილოს ჰგავს. ერთმა ბერძენმა სთქვა, რომ იმ ქვამ ჩვენი იარაღი არ მიიკარა, მერე ინგლისური ფოლადის იარაღით ვსცადეთ, მაგრამ არც ის მიიკარა, ვერა გავიგეთ-რა, თუ ის რა ქვა არისო.

ასე და ამგვარად, დღეს შავშეთში ქართული ენა აღარ არსებობს, ქართველების სამახსოვროთ აქ შენახულა თითო-ოროლა ძველი ნაშთი, რომელთა პატრონობა აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს.

შავშეთშივე სძევს ჩვენის გამოჩენილის მოლექსის იონე შავთელის სოფელი შავ-მთა, დღეს მთლად აოხრებული და ვერან დაბათ არის ქცეული.

ზ. ჭ.

15 აგვისტოს, ს. ტბეთი.

## საისტორიო და საარქეოლოგო მოგზაურობა გრ. პ. ს. უვაროვისა.

წრეულს ჩვენს ქვეყანას კვლავ ესტუმრა ცნობილი მეცნიერი მანდილოსანი გრაფინა პ. ს. უვაროვისა, თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოებისა. მკითხველს უეჭველია მოეხსენება, რომ ამ პატივცემულს მანდილოსანს ჩვენის ქვეყნის სიძველეთა შესწავლაში მცირე ღვაწლი არ მიუძღვის. წრეულსაც მისი მოგზაურობის აზრი ჩვენის ქვეყნის შესწავლაა. ჯერ უნდა შემოიაროს თიანეთის მაზრა, შემდეგ გაემგზავრება სვანეთში და იქიდგან დაბრუნებული დაივლის გორისა და დუშეთის მაზრებს. 10 ივლისს გრაფინა ანანურში მოვიდა თავისის ორის ქალიშვილით, რომელნიც დედის შრომაში მონაწილეობას იღებენ და მასზედ ნაკლებ ყურადღებით არ ეკიდებიან ჩვენის ქვეყნის სიძველეთა შესწავლას. ანანურში ყოფნის დროს მოგზაურებმა ყურადღება მიაქციეს ადგილობრივს ტაძარს, რომელიც მათ რამდენჯერმე ჰქონიათ დათვალიერებული და შეუსწავლიათ კიდეც, სინანულით შენიშნეს, რომ ტაძარს, რომლის „შეკეთებაც“ ეხლა დაუწყიათ, უწყალოდ ამახინჯებენ, დაუდევრად ეკიდებიან და უკარგავენ ძველს თავისებურს სახეს. აუხდიათ მშვენიერი ალგეთის ქვის სახურავი, რომლითაც ტაძრის ეზო სავსეა და მის მაგიერ ეხლა ტაძარს კავითა და თუნუქითა ჰხურავენ. ეს სიძველეც გაძარცვეს და ტაძარს არ აკმარეს ის, რომ ამ ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინად „შეკეთების“ დროს ტაძრის ძველი მხატვრობა ძველის კირით შეუთეთხნიათ. ამ მხატვრობის კვალი ეხლა მხოლოდ ალაგ-ალაგ მოსჩანს კედლებზედ, სადაც კირი ჩამოცვენულა და აშკარად ამტკიცებს, რომ ეს მხატვრობა საუცხოვო რამ უნდა ყოფილიყოს. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ძველის ეკკლესიების შეკეთების შესახებ არავითარი წეს-რიგი არაა შემუშავებული და ვისაც როგორც უნდა, ისე აძლევენ შეკეთების ნებას და ამახინჯებინებენ ეკკლესიებს.

ტაძრის ამნაირს დამახინჯებას, ანანურელების თქმით, მთავარ-მართებლის მეუღლემაც თურმე ყურადღება მიაქცია ანანურზედ გავლის დროს და სთხოვა მუშაობა შეეყენებინათ, აღუთქვა ქვის სახურავის გასაახლებლად საშუალების გამოძებნა, მაგრამ ამის მიუხედავად მუშაობა დღესაცა სწარმოებს, ასე რომ ამ ორიოდე კვირაზედ ტაძარს სრულიად დაჰხურავენ თუნუქით. ეკკლესიის სახურავის ქვებზედ სხვა-და-სხვა სურათები და წმიდანების სახეები ყოფილა გამოქანდაკებული. ყველა ესენი ეკკლესიის გალავანში სახურავის სხვა ქვებთან ერთადა ყრია. საჭიროა, რომ ესენი მაინც და აგრეთვე მარმარილოს ქვები შადრევანისა, რომელიც ამ ეკკლესიის ციხეში ჰქონიათ არაგვის ერისთვიანთ გამართული, შენახულ იქმნას და არ დაიკარგოს.

ანანურის ეკკლესია, მისი ციხე-გალავანი და სხვა შენობები, რომლებიც აქ მრავლადაა, ძველს დროს ეკუთვნოდა არაგვის ერისთვიანთ, რომლებიც აქ ერთ დროს სჭექდენ-გრგვინავდენ, თავზარსა სცემდნენ მთის ხალხებსა და ხშირად უჴლავდებოდნენ მეფეებსაც-კი. მათ შეარყიეს და ბოლო მოუღეს იმ დრომდე შეურყეველს მთიულ-გუდამაყრელთ თავისუფლებას და შემდეგ იმავე განზრახვით თვისი მძლავრი მახვილი მიმართეს ფშავ-ხევსურთ, სადაც არა მცირედი სისხლი დაუღვრიათ. მაგრამ სისხლითა და ცბიერებით მოპოვებული დიდება ზურაბ არაგვის ერისთვისა მიჰვე დაემხო და დღეს მთის ხალხის იმ შავთა დროთ მოსაგონებლად ანანურში ეს დიდებული ტაძარი და მისი დრო-ჟამისაგან დაძაბუნებულ შერყეული ციხე-გალავანიღაა, რომლებიც დღესაც აშკარად მოწმობენ პატრონის სიმძლავრესა.

11-ს ივლისს მოგზაურები ანანურიდან ს. ჟინვანს ჩამოვიდნენ ახლად ნაკეთების გზით, რომელიც გაჰყავთ ანანურიდგან თიანეთს. ეს გზა, რომლის კეთების დროსაც მიწის ზვავმა წარსულ ივნისის ოცში თხუთმეტამდე კაცი იმსხვერპლა და ორიც შარშან შემოდგომაზედ, გაჰყავთ მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეზე მთის კალთაზედ, რომლის ნიადაგიც კლდიანი, ადგილ-ადგილ გვერდა და ნამხლღვევიანია, რის გამოც ძალიან ძნელია, რომ აქ გზამ სამუდამოდ თავი დაიჭიროს. მოგზაურებმა გზად დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც ეს უბედურება მოხდა და ჩავიდნენ ს. ჟინვანს, რომელიც გაშენებულია „დიდის არაგვის“ ნაპირზედ, მთიულეთისა და ფშავის არაგვის შესართავიდგან ვერს ნახევარზე. აქ მოგზაურებმა მოათხრევინეს გზის კეთების დროს ამოჩენილი ძველი საფლავები, სადაც საყურადღებო ვერა იპოვესრა; გზის მუშებს-კი, როგორც ამბობენ, უპოვიათ რამდენიმე ცალი ფული და რამდენიმე ისეთი ნივთიც, რომლის დანიშნულებაც იქ მყოფებს ვერ გაუგიათ. როგორც ყველა ძველს სასაფლაოში, ისეც ჟინვანისაში თითო აკლდამაში რამდენიმე გვამი ყოფილა დაკრძალული. აკლდამები ოთხ-კუთხიანია და აქეთ იქით დიდი ერთიანი სიპის ქვის კედლები აქვს გაკეთებული.

თვით ს. ჟინვანი პატარაა, შესდგება 10—15 კომლი მცხოვრებისაგან, ხოლო ძველ დროს-კი თურმე ქალაქი ყოფილა. სოფელში ახლაც მოსჩანს ციხისა და კოშკების ნანგრევები. ჟინვანის ვიწროები, სოფელს ქვევით, არაგვის გაღმა-გამოღმა, ბუნებრივს სიმაგრეს წარმოადგენენ, ამას გარდა ძველს დროში იგინი კედლითა ყოფილა გამაგრებულები და ამ კედლების ნაშთი ორივე მხარეზედ ახლაც მოსჩანს. გამაგრებული ჟინვანის ვიწროების მფლობელისთვის შესაძლო იქნებოდა ძველ დროში ხელში სჭეროდა არაგვის სათავეების გასაღები და შეეყენებინა ფშავში და მთიულეთ-გუდა-მაყრისკენ ქვევიდგან მიმავალი მტერი და ამით სახიზნავი ალაგები გადაერჩინა.

ჟინვანის ახლო, მაღლა, ფრიალო კლდეშია ნიში, სადაც ინახება ორი ძველებური ჯვარი გამოქვაბულ კლდეში. აქ ასვლას ვერავინ გაჰბედავს-თუ არ მცოდნე და შეჩვეული. მოგზაურებმა ამ ჯვრების ნახვა მოინდომეს და სთხოვეს ჟინვანელებს ეჩვენებინათ იგინი, მაგრამ ჟინვანელებმა უარი უთხრეს და ჯვრები არ აჩვენეს, თავს იმითი მართლულობდნენ, რომ ჯვრები კლდეშია დამალულები და რა ალაგასაა, ჩვენ არ ვიცითო; ჯვრები ხევის ბერსა აქვს დამალული, ხევის ბერი-კი კახეთში სცხოვრობს, მარტო დღეობაში მოდის აქა, ჩამოაქვს კლდიდგან ჯვრები და მაშინ ნახვაც მხოლოდ მაშინ შეიძლებაო.

ყოველს შემთხვევაში ამ ჯვრების შესახებ ხალხში დარჩენილი გარდმოცემა საყურადღებოა. ძველ დროში, როდესაც ქვეყანა მტრისგან აოხრებული ყოფილა და ხალხი მთებში გახიზნული, სახიზნავებიდგან ჟინვანში ჩამოსულა სამი ძმა და გუდით თან ჩამოუტანიათ ეს ჯვრებიცა. ჟინვანში ძმებს გარდაუწყვეტიათ, რომ ერთი მათგანი ამ სოფელში დარჩენილიყო ჯვრების მცველად და ჯვრებიც იქვე დაეტოვებინა, ხოლო დანარჩენ ორთაგან ერთი აღმოსავლეთისკენ წასულიყო დასასახლებლად და მეორე დასავლეთისაკენ; ეს საქმე ძმებმა თურმე კენჭით გარდასწყვიტეს, და რომელსაც დასავლეთისკენ წასვლა ერგო და წავიდა, მისი ჩამომავალნი, ხალხის თქმით, არიან ქართლელი ფიცხელაურები, ხოლო რომელსაც კენჭმა აღმოსავლეთისკენ წასვლა არგუნა, გადასახლდა კახეთში და შეიქმნა კახელი ფიცხელაურების მამათ-მთავარი, რომლის ჩამომავალნი ეხლაც დაიარებიან სოფ. ვაჩნაძიანიდგან, ართანიდგან და თიანეთიგან ჟინვანში სალოცავად, რადგანაც ამ ბედის საძებნელად წასულს ორს ძმას წასვლის დროს აღთქმა დაუდვია, რომ ეს საოჯახო სიწმიდე არ დაივიწყონ და მის თაყვანსაცემად დრო გამოშვებით იარონ.

დ. ხიზ—ლი.

## ცრუ-მორწმუნეობა და წიგნების გამოცემა.

ბევრ რამ საგულისხმიეროს შენიშნავს კაცი, თუ-კი დაფიქრდება ჩვენის ერის მდგომარეობის შესახებ და მეც მსურს განვუზიარო მკითხველს ჩვენი ფიქრები.

დავიწყოთ ჩვენის ცრუ-მორწმუნეობიდგან, რომელიც ასე მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს უამისოდაც მძიმედ დატვირთულს ერს. რამდენი ტან-მთელი ადამიანი გამოუსალმებია ცრუ-მორწმუნეობას უდროო დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთი-სოფლისათვის, რამდენი დაუავადმყოფებია, რამდენი ოჯახი გაუსაწყლებია და გაუუბედურებია? ავიღოთ, მაგალითად, ჭლექი; ეს საშინელი, მძვინვარე სენი თუ რომელსამე ოჯახში ამ სენით ავად გახდა ვინმე, ჭლექი დაიბუდებს იქ და მანამდის არ გაჰქრება, ვიდრე მთლად არ გასწყვეტს, ვისაც-კი მოერევა. ეს კიდევ არაფერი. სენი ერთის ოჯახიდგან მეორეში გადადის, იქიდგან კიდევ სხვაგან და ამ ნაირად თანდა-თან ვრცელდება, როგორც ფილოქსერა ვენახებში. მიზეზი ჭლექის გავრცელებისა იგივეა, რაც ფილოქსერის გავრცელებისა. როგორც ვენახებს აზიანებს ვენახის ტილი „ფილოქსერა“, ისე ხალხს—ჭლექის პატარა ბაცილლა. და თუმცა ეს ბაცილლა უჩინარია, ძლიერ პატარაა, მით უფრო საშიშარიც არის. უბრალო ხალხს არა სჯერა, რომ სენის მიზეზი ბაცილლა იყოს, მას ჰგონია, რომ ეს სენი ღვთისაგან არის გამოგზავნილი მის დასასჯელად. ამ ცრუმორწმუნეობაში მას კიდევ უფრო ამაგრებენ მკითხავები, აგზავნიან მას სალოცავებზედ, ალოცვინებენ და, რა ვიცი კიდევ, რას არ აქნევინებენ ხოლმე. შეიძლება მკითხველმა მითხრას, რას უშველის ხალხს, კიდევაც რომ დარწმუნდეს, რომ ჭლექის მიზეზი პატარა ჭია „ბაცილლა“ არის და არა ღვთის რისხვა—ბევრს, ძლიერ ბევრს. ხალხმა თუ ეს შეიგნო, მაშინ იგი მიიღებს ამ ბაცილლასთან საბრძოლველად საშუალებას.

მაგრამ რა საშუალებაა? ვისაც ჭლექი შეექმნა, იმას ხომ ვეღარაფერს უშველიან ეს საშუალებები?—შეიძლება, მაგრამ ვისაც ჯერ ჭლექი არ შეხვედრია, ის-კი შეგვიძლია გადავარჩინოთ, და ეს ხომ დიდი ღვთის წყალობა იქნება. თუ ჭლექი ბაცილლასაგან ჩნდება, ჭლექიანმა უნდა ახველოს „სალიცილის-მჟავეში“ ანუ „კარბოლის მჟავეში“, რაც ძლიერ იაფად იშოვება ყოველ აფთიაქში. ის ბაცილლები, რომელთაც ჭლექიანი ამოატანს ნახველს, დაიხოცებიან ხსენებულ სიმჟავეში და ამგვარად მოისპობა მიზეზი ჭლექის გავრცელებისა. ამას გარდა ჭლექიანის ტანისამოსი, ქვეშსაგები, ოთახი, სადაც ის ცხოვრობს, და ყოველივე, რასაც ის ეკარება, ხშირად უნდა მოისხურებოდენ იმავე „კარბოლის სიმჟავეთი“ ან „სულემათი“ ერთგვარის სასხურებელის შემწეობით, რომელიც აგრეთვე იაფად იშოვება აფთიაქებში. ჭლექიანს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი საინი, სტაქანი, დანა-ჩქიფი, სავარცხელი, პირსახოცი; ჭლექიანის საცვალი, სანამ გაირეცხებოდეს, უნდა ჩაიდებოდეს მდუღარეში; ის, ვინც ჭლექიანის ტანთსაცმელს გარეცხავს, ქვეშ-საგებელს აალაგებს და სხ., უნდა დაიბანდეს ხოლმე ხელს „კარბოლის“ საპნით, რომ დაიხოცნენ ის ბაცილლები, რომელნიც ხელებზედ ექნება მოდებული; ჭლექიანის ოთახი, სანამ დაიხვეტებოდეს, უნდა იყოს ხოლმე მოსხურებული „კარბოლის სიმჟავეთი“—ნარევი წყლით; ოთახში უნდა იყოს დიდი სისუფთავე.

ყველა ეს საშუალება მარტო კარგად-მყოფებისათვის-კი არ იქნება კარგი, თვით ავადმყოფისათვისაც დიდი სასარგებლო იქნება. ამას გარდა თვით ავადმყოფიც, კაცთ-მოყვარეობისა გამო, როგორც-კი მცირეოდენ ნიშნებს შეამჩნევს თავის ავადმყოფობისას, ზნეობრივად ვალდებულია, მაშინვე ეჩვენოს დოქტორს, მაშინვე გაიგოს, რით არის ავად, და მიიღოს მერე შესაფერი საშუალება, რომ მისმა სენმა სხვაც არ გადიტანოს და უბედურებას კიდევ უბედურება არ დაერთოს. ჩვენში კი, ცრუ-მორწმუნოებისა გამო ჭლექი სირცხვილი გვგონია!

ავიღოთ მეორე გადამდები სენი, მუცელა. ჩვენში ბევრს ამ სენის მიზეზი „ბატონები“ ჰგონია და დღემდის კიდევ ვერ დარწმუნებულან, რომ არავითარი უხილავი „ბატონები“ ეშმაკეულობა არა არის-რა და მუცელას მიზეზიც როგორც ყველა გადამდების ავადმყოფობისა, იგივე ბაცილლაა. მუცელით ავადმყოფი ადვილი მოსარჩენია, თუ-კი დროზედ მიჰმართა დოქტორს კაცმა. ამას გარდა მომვლელსაც ადვილად შეუძლია აიცდინოს თავიდგან ეს გადამდები სენი. ამისათვის ავადმყოფი უნდა გადიოდეს „კარბოლის მჟავე“ ნარევი წყლით სავსე ქურქელში, განავალი ჯოხით უნდა აურიოს მომვლელმა ამგვარ წყალში, რომ ბაცილლები სულ ერთიანად დაიხოცნენ, მერე ორმოში გადააქციოს და ზევიდგან მიწა დააყაროს. ოთახის დახვეტა, მოსხურება, ხელის დაბანა და სხ. და. სხ. აგრეთვე უნდა, როგორც ზემოდ ვსთქვით.

ამგვარადვე შეუძლია გადირჩინოს თავი მომვლელმა ყვავილისა, წითელისა, ხურვებისა და სხვათაგან.

ავიღოთ კიდევ ერთი ნაყოფი ჩვენის უმეცრებისა, რომელიც იგივე ცრუ მორწმუნოებაა, რადგან ყოველი შემცდარი აზრი ჩვენ ცრუ მორწმუნოებად მიგვაჩნია.

ჩვენში ახლაც ხშირად იციან: როდესაც კაცი ფილტვების ანთებით გახდება ავად და თავზედ ცეცხლი უკიდია, მის მაგიერ, რომ ყინვა ან ცივი წყლით დასველებული კომპრესსი ადვან, ქვეშ-საგებს დააყრიან ხოლმე თავზედ, იქნება ოფლი მოუვიდესო. ბევრგან ამასაც არ სჯერდებიან. ქვეშ-საგების ზევით კიდევ ზედ აწვებიან თავზედ ავადმყოფს და, მორჩენის მაგიერ, შიგ გამოგუდავენ ხოლმე საბანში. ეს მეტად სასაცილო იქნებოდა, რომ მეტად სამწუხარო არ იყოს! დიაღ, მკითხველო, ვინ იცის, რამდენი ჯანიანი კაცი გამოსალმებია უდროო-დროთ წუთისოფელს ამგვარის უხეირო, სულელურ მოვლისაგან.

გადავიდეთ ახლა სხვა სფერაში, სხვა მოვლენათა სამეფოში. ყველამ იცის, თუ რა ნაირად ეშინია ჩვენში გაუნათლებელ ხალხს კუდიანებისა, ქაჯებისა, ტყის კაცებისა, ალისა და ეშმაკებისა. ვაჟკაცი, რომელსაც არაფრის არ ეშინია, თრთის და ცახცახებს ღამე შიშისაგან იმათ წინაშე, რომელნიც ქვეყნად არასოდეს არ ყოფილან, არ არიან და არც იქნებიან. შიში ასუსტებს, აფუჭებს ხასიათს, ამდაბლებს მის ბუნებას, აკლებს იმ ძალას, ენერგიას, რომელიც უმისოდ კაცის ზნეობრივსა და გონებრივს ამაღლებასა და სხეულის გაძლიერებას მოხმარდებოდა. შიშია უძლიერესი შემაფერხებელი, დამაბრკოლებელი კაცის პროგრესსისა, წარმატებისა. ბატონ-ყმობას იმიტომ ჰკიცხავს ახლანდელი მეცნიერება, რომ იგი იყო დამყარებული შიშზედ და მართლაც: ათას წლობის შიშმა, მონობამ დაამცირა, დაამდაბლა ჩინელი, სპარსელი, ძველი ინდოელი და სხვ. აი ამიტომ ევროპაში აღარ ზრდიან ახლა ყმაწვილებს შიშში, ამიტომ იქ გადავარდა „როზგი“, გალახვა, გაწყრომა.

რა არის ყველა ამის წამალი?—სწავლა, მეცნიერების ნათლით განათება ხალხის ბნელის გონებისა.

მაგრამ რა საშუალებაა ჩვენ ხელთ ამისათვის? სკოლები, სამკითხველოები და სახალხო წიგნები. ამ წერილში მე მსურს ვილაპარაკო მხოლოდ სახალხო წიგნების შესახებ.

ჩემის ფიქრით, დროა შევუდგეთ სახალხო წიგნების გამოცემას. დროა მივაწოდოთ ხალხს პირველ-დაწყებითი ცნობები ბუნების-მეტყველებისა და საზოგადოებრივის მეცნიერების შესახებ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარ წიგნებს ბაზარი არ ექმნებაო, არ გაიყიდებაო და, ამიტომ, საზოგადოება, რომელიც მათს გამოცემას იკისრებს, სულ მალე გაკოტრდებაო. ეს აზრი შემცდარად მიგვაჩნია. ნიჭიერად შედგენილი სახალხო წიგნი ყოველთვის გაიყიდება. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სახალხო წიგნებისათვის,—რომანები იქნებიან, თუ სამეცნიერო წიგნები,—უთუოდ საჭიროა სურათები. ჩემის ფიქრით, ვინც ამგვარის წიგნების გამოცემას იკისრებს, მან უნდა მიჰმართოს ნიჭიერს ყმაწვილებს და შეუკვეთოს თარგმნა ანუ შედგენა წიგნებისა. როდესაც მშრომელი დარწმუნებული იქნება, რომ თავისის შრომის ჯილდოს უთუოდ მიიღებს, მაშინ იგი კიდევაც იშრომებს. თორემ წარმოიდგინეთ მთარგმნელის მდგომარეობა, როდესაც იგი ალალ-ბედზედ თარგმნის და არ იცის, იყიდიან თუ არა მისს ნაშრომს; ამ შემთხვევაში იგი უგულოდ მოეკიდება თავისს საქმეს, როგორც უიმედოს, გული აცრუებული ექმნება და, თუ სხვა საქმე იშოვა, თარგმნას თავს დაანებებს. თუ დღემდის წიგნების გამოცემის საქმე კარგად ვერ მიდის, აქ უნდა მოიძიებოდეს, ჩემის ფიქრით, უმთავრესი მისი მიზეზი.

ზოგიერთები თვით ხალხში ეძიებენ მიზეზს სახალხო წიგნების გამოუცემლობისას. ხალხისთვის მეცნიერება არ არის საინტერესოო, ამბობენ. ამაზე მეტი შემცდარი აზრი არ შეიძლება. ავიღოთ, მაგალითად, ბრემის „ცხოვრება ცხოველთა“. გადმოთარგმნეთ მდაბიო, ცოცხალი ენით და პატარ-პატარა თავებად ეს შესანიშნავი თხზულება, გაუკეთეთ სურათები, დანიშნეთ თითო წიგნაკზედ თითო შაური და მაშინ დაინახავთ, აინტერესებს თუ არა ხალხის ბუნების მეტყველება. იგივე შეიძლება ითქვას მეცნიერების ყოველ დარგზედ. რასაკვირველია, ქიმიის სახელმძღვანელოს არ წაიკითხავს ხალხი, თუმცა იმიტომ კი არა, რომ ქიმია არ აინტერესებდეს, არამედ იმიტომ, რომ ქიმიის შესწავლა წიგნით შეუძლებელია. აბა მოიწვიეთ სოფლის ხალხი ლაბორატორიაში, გააკეთეთ მის თვალის წინ ქიმიური „გამოცდანი“, დაანახვეთ ყველაფერი მისისავე თვალით და მაშინ დარწმუნდებით, თუ როგორ უყვარს ხალხს ქიმია. ხალხის ტვინის ენერგია დაცულია, შენახულია, შეულახველია; მასზედ ყოველგვარ მოვლენას დიდი შთაბეჭდილება აქვს. ბევრი რამ, რაც ჩვენის თვალის წინ შეუმჩნეველად გაივლის, ხალხის თვალს არ გამოეპარება დაუნახავი; ხალხი ძლიერად გრძნობს და ამიტომ იგი მეტს ყურადღებას მიაქცევს ყოველგვარს მოვლენას ცხოვრების და ბუნებისას. მაშასადამე, თუ-კი რომ ხალხს მიაწოდებთ მისთვის ადვილად გასაგებს წიგნს მეცნიერების რომელისამე განყოფილების შესახებ, იგი მას დიდის სიამოვნებით იყიდის და წაიკითხავს ასეთს წიგნს.

ვ. წ.

—

P. S. წიგნების გამოცემაზედ რომ ჩამოვაგდე ლაპარაკი, ერთი რამ გამახსენდა. განსვენებულს ესტატე ამაშუყელს, რომელიც ბაქოში მსახურებდა, როგორც გამიგონია, კანონების წიგნი გადაეთარგმნა ქართულად. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ხმა. თუ ვისმე უნდა ნამდვილის შეტყობა, შეუძლია მიჰმართოს სოფელს ამაშუკეთში მის მშობლებს ან ბაქოში მის ამხანაგებს. კანონების წიგნების გამოცემას რომ დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ცხოვრებისათვის, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. კანონების ცოდნა ახლანდელ დროში ფარია კაცისთვის. რაც უწინ ხმალი იყო, ის ახლა კანონია. კანონების ცოდნა დაიფარავს კაცს უსამართლო შევიწროებისა და მოტყუებისაგან, ააცდენს ბევრგვარს უგნურს მოქმედებას და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, კანონების ცოდნის გავრცელებას ჩვენს ხალხში ფრიად დიდი მოქალაქობრივი მნიშვნელობა ექმნება. ამას გარდა, ვინც ამგვარს წიგნს გამოცემს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფრიად დიდს მოგებას ნახავს. სასურველია, რომ ამ წიგნის, როგორც სხვა სახალხო წიგნების, გამოცემა ერთ-ერთმა ჩვენმა გამომცემელმა ამხანაგობათაგანმა იკისროს.

ვ. წ.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** შაქირ-ფაშა, სომხეთში წასვლამდე, უნახავს ერთს ინგლისელს კორესპონდენტს და საუბარი ჰქონია მასთან. „გარწმუნებთო, სთქვა ფაშამ, რომ მე მსურს ქურთისტანში წესიერება აღვადგინო და უწინდელი თანხმობა ჩამოვაგდო სხვადა-სხვა ერთა შორისაო. მე საშუალებაც მაქვს ეს განზრახვა განვახორციელოო. ჩვენ განვიზრახეთ ანატოლიაში (სიტყვას „სომხეთ“-ს ჩვენ არა ვხმარობთო, დაუმატა ფაშამ) კარგი მართვა-გამგეობა დავაწესოთ. მე განუსაზღვრელის უფლებით ვარ აღჭურვილი. სომხების შესახებ ძლიერ ბევრი ლაპარაკია, ნამეტურ ლონდონის გაზეთებში. ინგლისის კორესპონდენტებმა ბევრი ჭორი შეთხზეს და ამით მხოლოდ საქმეს ავნეს. რაც შეეხება ჩვენს პროგრამას, ამას ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: თავ-და-პირველად მე მსურს აღწერილობა მოვახდინო, რათა გავიგო რამდენი ქრისტიანი და მაჰმადიანი სცხოვრობს ამ პროვინციებში და ამის მიხედვით დავნიშნო თანასწორი რიცხვი ქრისტიან და მაჰმადიან მოხელეთა. შემდეგ უნდა გავიყვანო შოსსე და რკინის გზები, რათა ვაჭრობა გავაძლიეროთ. წესიერების დასაცველად უნდა დავაარსოთ ჟანდარმთა კორპუსი, რომელიც მაჰმადიანთა და ქრისტიანთაგან შესდგება. სასამართლოებშიაც თანასწორად მეყოლება მოხელენი ქრისტიანთაგან და მაჰმადიანთაგან. თუ ქრისტიანნიც და მაჰმადიანნიც დაემორჩილებიან კანონს, იმედი მაქვს ერთა შორის მშვიდობიანობა და შერიგება ჩამოვაგდოო“.

—

**საფრანგეთი.** 1870—71 წლის გერმანელ სამხედრო პირთ, როგორც „ჟურნალ დე დებ.“ ამბობს, ჰანოვერის სასაფლაოზედ საფრანგეთის ჯარის კაცთა საფლავს გვირგვინი დაადვეს შემდეგის წარწერით: „გერმანელ მეომართაგან მათს მეგობარს ფრანგებს.“

—

**იტალია.** ამ ჟამად სიცილიაში ისევ შფოთი და მღელვარებაა. მიზეზი მღელვარებისა ის არის, რომ სიცილიის გლეხობა აგერ ორი წელიწადია ელის კანონს, რომლით მრავალს უმიწა-წყლო ხალხს მიწა უნდა მიეცეს, მაგრამ ამ კანონის გამოცემა მთავრობამ ხელ-ახლავ გარდასდვა. რამდენიმე წლის წინად სიცილიის აჯანყება სამხედრო ძალით იქმნა მოსპობილი, მაგრამ ხალხი ახლა ისევ შფოთავს და კრისპიმ აღარ იცის, რით დაამშვიდოს აჯანყებულნი. სამართლიანს დარიგებას იძლევიან ოპპოზიციის გაზეთები, რომ საქმეს უშველის მხოლოდ საჭირო რეფორმები და არა სამხედრო ძალა ან საკანგებო კანონებიო.

—

**სერბია.** გაზეთების სიტყვით, მეფე ალექსანდრეს მამა, მილანი, სამუდამოდ სტოვებს სერბიას და პარიზში ბინავდება.

—

**გერმანია.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გერმანიაში იდღესასწაულეს ფრანგთა დამარცხება. სედანის მოგონების დღესასწაულზედ იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში იგი დიდს მუქარას უთვლიდა სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც, არამც თუ მონაწილეობა არ მიიღეს დღესასწაულში, არამედ პირ-და-პირ და ხმა მაღლა დაჰგმეს იგი. რასაკვირველია, ამ მუქარამ დიდი ლაპარაკი აღძრა ოპოზიციის გაზეთებში. სხვათაშორის, გაზეთი „ფრანკფურტ. ცეიტუნგ“-ი ამბობს: როგორც სჩანს ბევრნი აცხადებენ თანაგრძნობას იმ კანონის გამო, რომელიც განზრახულია შემოიღონ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს საბრძოლველი საშუალება, რასაკვირველია, ბისმარკის ერთხელ უკვე ცნობილ რეცეპტით იქმნება შემდგარი, ე. ი. ან სულ-ერთიან უნდა აღმოიფხვრას სოციალ-დემოკრატთა დასი ან გამოიწვიონ იგინი პირ-და-პირ საბრძოლველად. ამ აზრის მომხრეთათვის, რასაკვირველია, იმპერატორის სიტყვა სწორედ ციური მანანაა. ჩვენ ვშიშობთ, რეაქციონერების აგიტაციამ მთავრობა არ ჩაითრიოს. თუ ეს ასე მოხდა და თუ 1878 წელს შემოღებული და 1890 წელს უარ-ყოფილი კანონი სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ კვლავ შემოიღეს, მთავრობას ხელ-ახლად დამარცხება მოელის. იმპერატორის მუქარა, რომ იგი მოუწოდებს ჯარს, სამშობლოს მოღალატე ბრბოთა დასამორჩილებლად გაუგებარია, გაუგებარია, მით უმეტეს, რომ ეს განზრახვა სისრულეში უნდათ მოიყვანონ იმ სახელმწიფოში, საცა

არსებობს იმისთანა კანონი, რომელსაც თვით იმპერატორი ემორჩილება. ის ხალხი, რომლიდამაც უნდა გაგვანთავისუფლოს ომმა, ამავე სახელმწიფოს მცხოვრებლები არიან. იქნება ვიფიქროთ, რომ სოციალ-დემოკრატთა დამარცხება მოხდება სამხედრო წესით, მაგრამ ეს შეუძლებელია, ამ საშუალებას მხოლოდ ომისა და ამბოხების დროს მიჰმართავენ ხოლმე თანახმად კონსტიტუციისა. მაშ რა აზრი აქვს ამ მუქარას? ჩვენ ვერ გაგვიგია და პასუხიც ჩვენი ეს იქნება: „არ ვიცით“. მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ ამისთანა გამოურკვეველი და გაუგებარი მუქარის ზედგავლენა იმდენად არის საშიში, რამდენადაც მაღალია ის ადგილი, საიდამაც იგი წარმოითქვაო“. დასძენს ზემოხსენებული გაზეთი. ამავე კილოთი ლაპარაკობენ თავისუფალ მოაზრეთა გაზეთებიც.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

იაპონია თან-და-თან აძლიერებს თავისს სამხედრო ფლოტს. „ნაციონალ ცეიტუნგ“-ს სწერენ ლონდონიდგან, რომ

იაპონიამ ინგლისს ორი ჯავშნიანი 12,450 ტონიანი გემი შეუკვეთაო. სიგრძით ეს გემები 374 ფუტი იქნება და სიგანით 74 ფუტი. გემების ორი მესამედი ნაწილი სქელის რკინით არის შეჭედილი. კოშკებში 12 დიუიმიანი ზარბაზნები აწყვია. გემის მამოძრავებელს მანქანას 13,500 ცხენის ძალა უნდა ჰქონდეს. გემი ძალიან სწრაფად იცურავს ზღვაზედ. ორივე გემი ნოემბერში უნდა ჩააბარონ იაპონიასაო.

—

რომის გაზეთმა „ტრიბუნა“ მ დიდი კორესპონდენცია დაბეჭდა ერიტრეიდგან, რომელშიაც ნათქვამია, რომ

აბესსინელნი საომრად ემზადებიან და დაიწყებენ კიდეც, როგორც პერიოდული წვიმები შესწყდებაო. კორესპონდენტი ურჩევს იტალიას ეხლავე ენერგიული საშუალება იხმაროს მენელიკის წინაამდეგ, ვიდრე ეს უკანასკნელი საკმაო ჯარს შეჰკრებდეს.

ამასთანავე ერთად „პოლიტიშ კორესპონდენტის“ რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ

მენელიკის შინაური მდგომარეობა მეტად გაჭირვებულიაო; მისით უკმაყოფილონი არიან ხალხიც და გვარეულობის უფროსებიცაო; დღეს თუ არა, ხვალ ჩამოაბრძანებენ ტახტიდგანაო. მაშასადამე, მენილიკს ფიქრიც-კი არ შეუძლიან ომზედ.

რომელი ერთია მართალი?

—

კუბის კუნძულზედ ეს რამდენიმე თვეა აჯანყებაა და დღემდის არავინ იცის, როდის შესწყდება იგი.

როგორც „ნაციონალ ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტი იწერება იქიდგან, აჯანყების მიზეზი ადგილობრივ მცხოვრებთა ნივთიერი უკმაყოფილებააო. ისპანიის მთავრობის ბევრი აგენტი მხოლოდ გამდიდრებასა ფიქრობდა კუბაზედ ყოფნის დროს და მთელი მისი მოქმედება ამითი ხასიათდებოდა. ამ აზრით ხან-დის-ხან ისეთს საშუალებასაც-კი ხმარობდნენ აგენტები, რომლებიც უნებურად იწვევდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ ენერგიული წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის. ამ წინააღმდეგობამ თვით ისპანიის ცენტრალურ მთავრობამდისაც ბევრჯელ მიაღწია, მაგრამ ყურადღება მას არავინ მიაქცია. გარდა ამისა უკმაყოფილების მიზეზად კიდევ ის გახდა, რომ კუბასა და ესპანიას შორის ცუდი საბაჟო დამოკიდებულება არსებობს. მაშინ როდესაც ესპანიის საქონელი უბაჟოთ გააქვთ ანტლის დიდს კუნძულებზედ, კუბის ნაწარმოებს დიდს ბაჟს აწერენ, ბაჟს ისეთსავე, როგორიც უცხო სახელმწიფოდგან შემოსატან საქონელსა აქვს შეწერილი. თუნდაც რომ აჯანყება როგორმე მოსპონ, უთუოდ საჭიროა კუბელთა თხოვნა შეწყნარებულ იქმნას. ახლა-კი ინსურგენტები სრულს ავტონომიას თხოულობენ კუნძულისათვის. კუნძულის უფროსად შეიძლება ესპანელი გენერალი იყოს, მაგრამ ადმინისტრაცია და მოხელენი-კი უთუოდ კუბელები უნდა იყვნენ. გარდა ამისა თხოულობენ საბაჟო გარდასახადებში ესპანიასა და კუბას ერთნაირი უფლება ჰქონდეთ მინიჭებული და სამხედრო გარდასახადებში იმდენად მიიღონ ხოლმე მონაწილეობა კუბელებმა, რამდენადაც ეს ახალშენისათვის იქნება საჭირო. დასასრულ, კუბა ირჩევს თავისს დეპუტატებს, რომლებიც ისპანიის კრებებს დაესწრებიან. თავისს მხრივ ახალს შენიც პირობას აძლევს ესპანიას თავისის შემოსავალის ერთი ნაწილი დაუთმოს მას.

აი, ამას თხოულობენ კუბის ინსურგენტები და ესპანიის მთავრობა-კი არას გზით არა სთანხმდება, ამბობს „ნოვ. ვრემ.“ სხვა სხვის ომში ბრძენიაო, რომ იტყვიან, სწორედ ამასა ჰქვიან.

## წვრილი ამბები

—

მცენარე «ეშმაკის მახე». ჯერ ისევ მეცნიერი დარვინი გვიჩვენებდა ისეთ მცენარეებს, რომლნიც ბუზებსა და სხვ. მწერებს იჭერენ ხოლმე. შემდეგში უფრო უკეთ გამოირკვა ამ მცენარეების თვისება ჩარლზ დარვინის კლასიკურ გამოკვლევით. ხსენებული და მისი დაგვარი მცენარეები ამ მწერებით იკვებებიან. მცენარეებს აქვთ ფრწკალები, რომლებითაც საზრდოსა სწოვენ მწერებს უფრო რბილ ნაწილებიდამ, ხოლო მწერების მაგარი ნაწილები რჩებიან უსარგებლოდ. ამგვარად ეს მცენარეები ეკუთვნიან ხორცის-მჭამელთა ჯგუფს. ზოგიერთი ამ მცენარეთაგანი მწერებს არ კმარობს და დიდს ხერხემლიან ცხოველებსაც კი ჩაიგდებს ხოლმე თავისს ფრწკალებში. როგორც „კოსმოს“-ი იუწყება, ასეთ მცენარეების შესახებ სწავლული ფაბინი კარლო აცხადებს დიდად საყურადღებო ამბებს. ეს მცენარე აღმოუჩენია ბუნებისმეტყველს დუნსტანს შუა-გულ ამერიკაში, ნიკარაგუას ტბის ნაპირზედ. მოგზაურობიდგან დაბრუნების შემდეგ დუნსტანის ძაღლი სადღაცა მიეფარა თურმე და მცირე ხნის შემდეგ დუნსტანს, შემოესმა ძაღლის საშინელი წკმუტუნი. მაშინათვე ძაღლისაკენ გაეშურა დუნსტანი და მისდა განსაცვიფრებლად, ნახა, რომ მისი ერთგული ძაღლი რაღაცა დიდს მცენარეს გაუბამს მახეში და ისე მაგრად გაუყრია მსუსხავი შავი სხვილი ფრწკალები, რომ საბრალო ცხოველს სისხლი გამოსვლია. გამოკვლევის შემდეგ მცენარე სრულიად უცნობი აღმოჩნდა. ამ მცენარეს შავი, ლაპ-ლაპა და მოქნილი ღეროები აქვს და აი ამ ღეროებით თურმე იჭერს თავისს მსხვერპლს, ფრწკალები იმავ დროს პირის დანიშნულებას ასრულებენ. მცენარეს სდის შავი, სქელი სითხე და აქვს მრავალი ძგლები, რომლებსაც ხმარობს ცხოველის დაჭერის დროს და რომლებითაცა სწოვს თავისს მსხვერპლს. ცხოველის გასანთავისუფლებლად დუნსტანს მეტი აღარა დარჩენოდა-რა, შემოაჭრა მცენარეს ძგლიანი ღეროები და ისე-და გაათავისუფლა რის წვალებით თავისი ერთგული ძაღლი. მაგრამ ხელები საშინლად დაუსუსხა თურმე მცენარემ. მცენარეს ღეროებიდამ საშინელი ცუდი სუნი ასდის იმ ადგილებში, საიდამაც და რომლებითაც იგი იკვებება. მცენარე, რაკი გააბამს ვისმე მახეში, იმ დრომდის აღარ გაუშვებს, ვიდრე არ გამღება, სწორედ ისე და იმ გვარად, როგორც ბუზი-ჭერია და სხვა მცენარეები იქცევიან. შუა გულ ამერიკის მცხოვრებლები ამ მცენარეს „ეშმაკის მახე“-ს ეძახიან.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“ ამ წერილს. 22 წარსულ ივლისს ს. კარდანახში (სიღ. მაზრა) სცენის მოყვარულთაგან გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა ქართულ სიმღერებით. წარმოდგენის შემოსავალი დანიშნული იყო ნახევარი პატივცემულ არტისტის ალ. მესხიშვილის სასარგებლოდ და ნახევარი ქუთაისის გიმნაზიაში ახლად კურს დამთავრებულ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. ბილეთები და წარმოდგენის შემოსავალი ჩაბარებული ჰქონდა ბ. ალ. ჩახნაშვილს, — რომელსაც უნდა გაეგზავნა დანიშნულებისამებრ, მაგრამ არ ვიცით, რა მიზეზით დააგვიანა ფულის გაგზავნა და ან რატომ არ გამოაცხადა, რამდენი იყო შემოსავალი.

მონაწილეთაგანი თომა კევლიშვილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 აგვისტო.

**პეტერბურგი**, 29 აგვისტო. პოდოლის გუბერნიაში ხოლერა გაჩენილა.

**რიბინსკი.** ქვაბის აფეთქების გამო დაიღუპა გემი „ეკსტრენი“. გემის უფროსი და ორი მსახური დაიღუპნენ; სამი კაცი დაჭრილია.

**პარიზი**, 29 აგვისტო. ლონდონის ლორდ მერი და წევრები კონფერენციისა, რომელიც მოწვეულია ზომაფ მეტრის შემოღებისათვის, საუზმეზედ იყვნენ მიპატიჟებული გარეშე საქმეთა მინისტრთან. ლორდ-მერმა პრეზიდენტის ფორის სადღეგრძელო დ ლია და მადლობა გარდაუხადა მოწყალე მიღებისათვის. მინისტრმა ჰანოტომ სადღეგრძელო დალია დედოფალ ვიქტორიასი და იმ ხელმწიფეთა, რომელთაც გამოგზავნეს წარმომადგენელნი კონფერენციაზედ დასასწრებად. მინისტრმა სთქვა, სხვათა შორის, რომ ლორდ მერის საფრანგეთში ჩამოსვლა გააძლიერებს მეგობრულს განწყობილებას საფრანგეთსა და ინგლისს შორისაო.

ლორდ-მერი ბრიუსელს წავიდა.

**ლანგრი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა სამხედრო მინისტრთან და გენერალ დრაგომიროვთან ერთად დაათვალიერა ჯარების ბანაკი.

**შტეტინი.** აქ მოვიდა ავსტრიის იმპერატორი, რომელსაც სადგურზედ მიეგება იმპერატორი ვილჰელმი. მოვიდა აგრეთვე ტურინის გრაფი.

**ბერნი.** დაიწყო სხდომები საერთაშორისო ფიზიოლოგიურის კონგრესისა.

**ბრიუსელი.** დაიწყო სხდომები საერთაშორისო სამიწათ მოქმედო კონგრესისა.

**ლონდონი.** გაზეთების აზრით ის რეფორმები, რომელიც ოსმალეთს განუზრახავს შემოიღოს სომხეთში, ძლიერ უმნიშვნელონი არიან. «დეილი ხრონიკლი» ამბობს: „თუ ეს არის უკანასკნელი სიტყვა სულთანისა, ინგლისს ის-ღა დარჩენია — გაგზავნოს ესკადრა დარდანელისკენაო“.

ამბობენ, ინგლისის ესკადრას ნაბრძანები აქვს ბეზიკის ნავთ-სადგურში შევიდეს.

30 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 29 აგვისტოს იმპერატორის ალექსანდრე მესამის საფლავზე დაადვეს ვეცხლის გვირგვინი შემდეგის წარწერით: „განსვენებულს დიდს იმპერატორს ალექსანდრე III მშვიდობისმყოფელს უფიმის უმდაბლესად ერთგულ გუბერნიისაგან.

გუშინ აქ მოვიდა გერმანიის იმპერიის კანცლერი თავადი ჰოჰენლოე და გერმანიის საელჩოში დაბინავდა. ელჩმა სადილი გაუმართა, რომელზედაც მიპატიჟებულნი იყვნენ გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრები, ჰოფმარშალი ბენკენდორფი, პეტერბურგს მყოფნი ელჩნი და აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენელნი. გაზეთები ამბობენ, რომ ჰოჰენლოე საკუთარის საქმეებისთვის ჩამოსულა პეტერბურგს სამის დღით.

**ბორდო.** აქ მოვიდა ლონდონის ლორდ-მერი, რომლის პატივსაცემად საბჭოში გამართულ იქმნა ნადიმი. ლორდ-მერმა წარმოსთქვა სიტყვა: „საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, თქვა მან, რომ გვესტუმრებოდეს ინგლისში, ისეთის პატივით მივიღებთ, რომელიც დაარწმუნებდა საფრანგეთს, თუ რა მეგობრულის გრძნობით არის ინგლისი გამსჭვალული საფრანგეთის მიმართ. მეტოქობა ორ ერთა შორის, თუ აუცილებელი არის, უნდა იქმნეს მხოლოდ მშვიდობიანი და გულწრფელი და სავაჭრო ინტერესს არ უნდა გადასცდეს. შემდეგ ლორდ-მერმა მოიხსენა თავისუფლება, რომელზედაც აგებულია ინგლისისა და საფრანგეთის წეს-წყობილება და განაცხადა, რომ ერნი არჩევენ — მთელი თვისი ძალ-ღონე ყველა წოდებათა წარმატებას მოახმარონ, ვიდრე საქვეო დიდება ეძიონ“.


## განცხადებანი

**იატაკის ლაქი**

**უქვერცლო და ქვითელი**

ამხანაგობის ფაბრიკისა.

**რ. კელერისა** და **ამხ.** მოსკოვში.

უბრალო იატაკების უცბად მოფერვისათვის, როგორც შეღებულისა, ისე შეუღებავებისა.

ეს ლაქი ხმება თვით წასმის დროსავე.

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან. (2—25—2)

**გასაჩირაღდნებლად**

ბაღებისა და ოთახებისა

ასანთები პატრუქები,

ბენგალის ცეცხლი (უგოგირდოთ)

სხვა-და სხვა ფერისა,

მაგნის ცეცხლი, წითელი და თეთრი, თხელ ტყვიის ლულებში, თავისის მაღლა ხეებზედ მისამაგრებლებით; თითოეულს ლულას უკიდია არა ნაკლებ ათის წამისა და ძალიან კარგადაც ანათებს; დიდს შთაბეჭდილებას ახდენს ამ ცეცხლით განათებულ სამრეკლოებისა და საეკლესიო ლიტანიების სანახაობა.

ყველა ეს საზოგადოდ ძალიან იაფად ისყიდება და ყველასთვის ხელსაყრელია —

ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა და ამხ. მოსკოვში**

ისყიდება

ყველგან და ყველა

დიდ ვაჭრებთან.

(2—26—2).

გამოვიდა კ. თევართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

**სახელმძღვანელო**

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ უუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი ფასი 25 კაპ.

(10—6—2).

**ნომრები „პარიჟი“**

გოლოვინის პროსპექტი და კუთხე ჭავჭავაძის ქ. შესახვევისა კადეტთა კორპუსის პირდაპირ.

ფასები ნომრებისა დღე-ღამით: 50 კაპ. 3 მანეთამდე, — თვიურად 10 მან. 40 მანეთამდე.

სადგომი ხელ-ახლად შეკეთებული და მოწყობილია, ძალიან ხერხიანად გაწყობილი დროის მოთხოვნილების შესაფერად, აქვს ელექტრონის ზარები და სხვანი.

საჭმელები და საუზმეულობა მსურველთ შეუძლიანთ კერძოდ მოითხოვონ: თხოვნა მუდამ ასრულებული იქნება.

პატრონი დიმიტრი ხუნდაძე.

(8—1782—3)

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

**სოკრატი.**

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.